




შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA



საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის ანგარიში



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

შინაარსი

- 2022 წლის დასრულებული და მიმდინარე კონკურსები
- კონკურსების შეფასების მოდელები
- ფონდის საერთაშორისო პროექტები
- ფონდის მიერ 2022 წელს ორგანიზებული ღონისძიებები

2022 წელს ადმინისტრირებული კონკურსები

- 2022 წელს ფონდმა ადმინისტრირება გაუწია 26 კონკურსს, აქედან:
 - 20 ეროვნული კონკურსი - FR, AR, STEM, HE, MG, YS, PhD, RIM, SPF-1, SL, YSS, SP, SCR, BRG, OTG, CS, SPG, LEO, WST, SPF-2
 - 6 ბილატერალური კონკურსი - JFZ, UOGSP, CNR, SRNSFG/DAAD, GFI, JFZ-2



წარმატების ინდექსები წლების მიხედვით

	2020	2021	2022
➤ წლიური პროგრამული ბიუჯეტი (ლარი)	28, 824, 430	27,511,953	30,483, 723

➤ წარმატების ინდექსი	17, 5 %	35 %	39 %
----------------------	---------	------	------




I - საქართველოში გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

- FR - ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი
- AR - გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი
- STEM - მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი
- HE – სახელმწიფო საგრანტო კონკურსი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის BRG - საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობსა და საერთაშორისო ღონისძიებების კონკურსი
- OTG - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობსა და საერთაშორისო ღონისძიებების კონკურსი
- CS - კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი
- SL - სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი




- წარმატების ინდექსი: 24%
- დარეგისტრირებული პროექტები: 515
- ტექ. ექსპერტიზის შედეგად მოხსნილი: 44
- მონაწილე პროექტები: 471
- გამარჯვებული პროექტები: 113
- მაქსიმალური ბიუჯეტი: 240 000


პროექტების რაოდენობების განაწილება სტატუსის მიხედვით




გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის (პირველი ტრანში) განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით





გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




- წარმატების ინდექსი: 65%
- დარეგისტრირებული პროექტები: 49
- ტექ. ექსპერტიზის შედეგად მოხსნილი: 9
- შეფასების I ეტაპზე მონაწილე პროექტები: 40
- შეფასების II ეტაპზე მონაწილე პროექტები-34
- გამარჯვებული პროექტები: 26
- პროექტის ბიუჯეტი:
 - ❖ 180 000 ლარი-კონცეფციის დამტკიცების ტიპის კვლევისთვის;
 - ❖ 240 000 ლარი-საპილოტე ტიპის კვლევისთვის;
 - ❖ 360 000 ლარი-დანერგვითი ტიპის კვლევისთვის.


გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




გამარჯვებული პროექტების განაწილება კვლევის ტიპების მიხედვით




გამარჯვებულების განაწილება სქესის მიხედვით




გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




დაფინანსების განაწილება კვლევის ტიპების მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევები - 2022


STEM

- წარმატების ინდექსი: 78%
- დარეგისტრირებული პროექტები: 48
- ტექ. ექსპერტიზის შედეგად მოხსნილი პროექტები: 6 (1 პროექტის გუნდმა მოითხოვა კონკურსიდან მოხსნა);
- შეფასებული პროექტები-41
- გამარჯვებული პროექტები: 32
- პროექტის ბიუჯეტი 70 000 ლარი


გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



პროექტების განაწილება სტატუსების მიხედვით




გამარჯვებულების განაწილება სქესის მიხედვით




მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევები - 2022

STEM

გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევები - 2022

STEM

გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო დისციპლინების მიხედვით




სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის




- წარმატების ინდექსი: 9.1%
- მონაწილე პროექტები: 44
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 1
- გამარჯვებული პროექტები: 4
- მაქსიმალური ბიუჯეტი:
 - ❖ 70 000 ლარი საქართველოში წარმოებული კვლევისათვის
 - ❖ 100 000 ლარი საზღვარგარეთ წარმოებული კვლევისათვის


გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება სამეცნიერო ქვე-მიმართულებების მიხედვით




პროექტების განაწილება სტატუსების მიხედვით



გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო ქვე-მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



2022 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი



- წარმატების ინდექსი: 9%
- კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა: 22
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 0
- კონკურსის I ლოტში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 22
- კონკურსის II ლოტში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 0
- გამარჯვებული პროექტების რაოდენობა: 2

დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი 120 000 ლარი
 გამარჯვებული პროექტები დაწესებულებების მიხედვით:


↓
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




- საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
- ჰუმანიტარული მეცნიერებანი

გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელების განაწილება სქესის მიხედვით



- მდედრობითი
- მამრობითი

კონკურსში მონაწილე პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



2022 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი



- წარმატების ინდექსი: 22%
- კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა: 26
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 3

კონკურსის I ლოტში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 22

კონკურსის II ლოტში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 1

- გამარჯვებული პროექტები: 4

კონკურსის I ლოტი: 4

კონკურსის II ლოტი: 1

დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტი: 270 925 ლარი

გამარჯვებული პროექტები დაწესებულებების მიხედვით:




ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი -2

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი


სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




■ ჰუმანიტარული მეცნიერებანი
■ მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი

გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელების განაწილება სქესის მიხედვით



■ მდედრობითი ■ მამრობითი

კონკურსში მონაწილე პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



2022 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

CS

- წარმატების ინდექსი: 22%
- მონაწილე პროექტები: 9
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 1

კონკურსის I ლოტში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 6

კონკურსის II ლოტში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 2

- გამარჯვებული პროექტები: 2

კონკურსის I ლოტი: გამარჯვებული კვლევითი პროექტი 1

კონკურსის I ლოტი: გამარჯვებული პროექტი ღონისძიებისთვის 1

- ბიუჯეტი:

დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტი: 99000 ლარი

გამარჯვებული პროექტები დაწესებულებების მიხედვით:



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი



- წარმატების ინდექსი: 20%
- კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა: 20
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 4

კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 16

- გამარჯვებული პროექტების რაოდენობა: 4


დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი 240 000 ლარი

გამარჯვებული პროექტები დაწესებულებების მიხედვით:



- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

კონკურსში მონაწილე პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელების განაწილება სქესის მიხედვით



II - ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარება და მობილობის ხელშეწყობა


- **YS** - ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსი
- **PhDF** - დოქტორანტურის საგანამანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსი
- **MG** - მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები



ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტების) კვლევითი გრანტების კონკურსი 2022


დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით

- წარმატების ინდექსი: 31.1%
- მონაწილე პროექტები: 108
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 2
- გამარჯვებული პროექტები: 33
- ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა: 60000




ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტების) კვლევითი გრანტების კონკურსი 2022

პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




- წარმატების ინდექსი: 54%
- რეგისტრირებული პროექტები: 194
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 14
- შეფასებული პროექტები: 180
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი: 63000

პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (პროცენტი დამრგვალებულია მეათედების სიზუსტით)



- 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
- 2. ინჟინერია და ტექნოლოგიები
- 3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი
- 4. აგრარული მეცნიერებანი
- 5. სოციალური მეცნიერებანი
- 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი
- 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

დაფინანსება ინსტიტუციების მიხედვით




■ დაფინანსება ინსტიტუციების მიხედვით


კონკურსის მეორე ლოტი

- წარმატების ინდექსი: 30%
- მონაწილე პროექტები: 40
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 4
- გამარჯვებული პროექტები: 12
- მაქსიმალური ბიუჯეტი:
 - ❖ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებისთვის 45 000 ლარს;
 - ❖ სეზონური სკოლის ორგანიზებისთვის 45 000 ლარს;
 - ❖ კომბინირებული ღონისძიების (კონფერენცია და სეზონური სკოლა ერთად) ორგანიზებისთვის 60 000 ლარს.


გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



პროექტების განაწილება სტატუსების მიხედვით




გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



კონკურსის ბიუჯეტი - 1 500 000 ლარი


- წარმატების ინდექსი: 66%
- მონაწილე პროექტები: 62
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 0
- შეფასებული პროექტები: 62
- გამარჯვებული პროექტები: 41

დაფინანსების განაწილება უსდ-ების მიხედვით (ათასი ლარი)



- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაფინანსების განაწილება ლოტების მიხედვით (ათასი ლარი)



- I ლოტი
- II ლოტი
- III ლოტი
- IV ლოტი
- V ლოტი
- VI ლოტი

კონკურსების შეფასების სქემები

➤ კონკურსების შეფასების მოდელები:

- შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ - HE, MG, RIM
- ორეტაპიანი შეფასება
 - საერთაშორისო ექსპერტები + საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი (პანელი) – YS, FR
 - ადგილობრივ ექსპერტთა ჯგუფი + საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი (პანელი) – AR
- შეფასება ექსპერტთა დარგობრივი ჯგუფების მიერ - PhD F
- შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ - STEM



მეცნიერების წვდომა უმსხვილეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზა Elsevier-ზე

- 2022 წელს ფონდმა განაახლა თანამშრომლობა მსოფლიოს წამყვან საგამომცემლო სახლ „ელსევიერთან“. თანამშრომლობის ფარგლებში 56 ორგანიზაციისგან შემდგარ კონსორციუმს, რომელშიც გაერთიანებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რუსთაველის ფონდი, საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, ჰქონდა წვდომა ელსევიერის სამეცნიერო ბაზებზე:
 - ✓ Scopus,
 - ✓ Science Directდამატებით ფონდს ჰქონდა წვდომა ექსპერტების საძიებო ბაზასთან - Expert Look Up.
- თანამშრომლობის ფარგლებში კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ვებინარები, როგორც ფონდის ასევე ელსევიერის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით.



ELSEVIER

შეხვედრა Elsevier-ის წარმომადგენლებთან

- 31 მაისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა სამუშაო შეხვედრა Elsevier-ის წარმომადგენლებთან
- სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს როგორც სამეცნიერო ბაზების გამოყენების, ისე პუბლიკაციების გამოქვეყნების საკითხები.



ფონდის საერთაშორისო პროექტები



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ფუნქციონირებს EURAXESS საქართველოს სერვის ცენტრი.

EURAXESS საქართველო არის ევროკომისიის ინიციატივის ნაწილი და მიზნად ისახავს მკვლევართა მობილობისა და კვლევითი კარიერის ხელშეწყობას.



EURAXESS საქართველო არის მკვლევარების, მეწარმეების, უნივერსიტეტებისა და ბიზნესების ურთიერთდაკავშირების პლატფორმა.

EURAXESS პორტალის სერვისები სთავაზობენ ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობებს რომ მოიძიონ:

- ვაკანსიები და დაფინანსების წყაროები;
- ონლაინ რესურსები კარიერული განვითარებისთვის;
- პარტნიორები.



EURAXESS პორტალი: <https://www.euraxess.ge/>

III - მეცნიერების პოპულარიზაცია



- LEO - მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“
- YSS - ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი
- SP - საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი
- SPG - მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი
- SCR - სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით.“
- SPF - სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსი
- WST - რუსთაველის ფონდის პრემია -“ქალები მეცნიერებაში“ - განსაკუთრებული მიღწევებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით

2022 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“




- წარმატების ინდექსი: 24 %
- მონაწილე პროექტები: 17
- კონკურსში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა - 47
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 0
- გამარჯვებული პროექტები: 4
- გამარჯვებული მოსწავლეების რაოდენობა - 12

გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




- დაწვრილი სისტემები / სიგნალის დამუშავება
- დაწვრილი სისტემები / კომუნიკაციები
- ქიმია/ბიოქიმია/ ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები/ეპიდემიოლოგია
- გამოყენებითი ტექნოლოგიები; კოსმოსი და ავიაცია; არქიტექტურა; სამოქალაქო ინჟინერია


გამარჯვებული მოსწავლეები გენდერის მიხედვით



მონაწილეების განაწილება გენდერის მიხედვით (I ეტაპი)





გამარჯვებული მოსწავლეების განაწილება კლასების მიხედვით



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის



- წარმატების ინდექსი: 14 %
- მონაწილე აპლიკანტები: 50
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 0
- გამარჯვებული აპლიკანტები: 7






საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსი



- წარმატების ინდექსი: 90 %
- დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა: 59
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 1
- მონაწილე პროექტები: 58
- გამარჯვებული პროექტები: 52
- პროექტის მაქს. ბიუჯეტი 6 000 ლარი
- დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 299 744 ლარი

■ მდედრობითი ■ მამრობითი




2022 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი




- კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა: 43
 - ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 1
 - კონკურსის მონაწილე პროექტების რაოდენობა: 42
- ინსტიტუციური: 31
- ჯგუფური: 11
- გამარჯვებული პროექტების რაოდენობა: 20
- ინსტიტუციური: 16
- ჯგუფური: 4
- ბიუჯეტი:
- ერთი პროექტისთვის მაქსიმუმ - 10 000 ლარი
- კონკურსის ბიუჯეტი - 200 000 ლარი

გამარჯვებული პროექტები დაწესებულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელების განაწილება სქესის მიხედვით




■ მდედრობითი ■ მამრობითი

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“




- წარმატების ინდექსი: 73 %
- დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა: 15
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 1
- მონაწილე პროექტები: 14
- გამარჯვებული პროექტები: 11
- პროექტის მაქს. ბიუჯეტი 12 000 ლარი
- დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 132 000 ლარი

გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულების მიხედვით



გამარჯვებული პროექტები მონაწილე სკოლების მიხედვით
დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მჭადიჯვრის საჯარო სკოლა
სსიპ ქალაქ თბილისის N10 საჯარო სკოლა
სსიპ გენო ადამიას სახელობის №1 სკოლა
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითის საჯარო სკოლა
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლა
სსიპ ქალაქ თბილისის #29 საჯარო სკოლა
სსიპ ქალაქ ქუთაისის №13 საჯარო სკოლა
სსიპ ქალაქ თბილისის N116 საჯარო სკოლა
სსიპ წინწყაროს საჯარო სკოლა
სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლა
სსიპ თბილისის #146 საჯარო სკოლა



2022 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსი




- კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა: 15
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 1
- კონკურსის მონაწილე პროექტების რაოდენობა: 14
- გამარჯვებული პროექტების რაოდენობა: 6
- ბიუჯეტი:

ერთი პროექტისთვის მაქსიმუმ - 200 000 ლარი
 ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 764 278

გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელების განაწილება სქესის მიხედვით



გამარჯვებული პროექტები დაწესებულებების მიხედვით




რუსთაველის ფონდის პრემია – “ქალები მეცნიერებაში” – განსაკუთრებული მიღწევებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით

WST

- კონკურსში დარეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა: 3
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 0
- გამარჯვებული განაცხადების რაოდენობა: 1
- ბიუჯეტი: 2 500 ლარი

გამარჯვებული განაცხადი ინსტიტუციის მიხედვით



■ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდების შედეგები

ქიმია (ICHO 2022)

ვერცხლის მედალი - 1
ბრინჯაოს მედალი - 2
საპატიო სიგელი - 1

ფიზიკა (IPHO 2022)

ოქროს მედალი - 1
ვერცხლის მედალი - 2
ბრინჯაოს მედალი - 2

ბიოლოგია (IBO 2022)

საპატიო სიგელი - 1

ინფორმატიკა (IOI 2022)

ვერცხლის მედალი - 1
ბრინჯაოს მედალი - 2

მათემატიკა (IMO 2022)

ბრინჯაოს მედალი - 3
საპატიო სიგელი - 3

IV - სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშროლობის გაღრმავება





- SRNSFG/Juelich I - II – ფონდსა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსი
- SRNSFG/DAAD - ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სააგენტოს ერთობლივი საგრანტო კონკურსი
- SRNSFG/UO – ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამა „საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში“
- SRNSFG/CNR - ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს ერთობლივი საგრანტო კონკურსი
- SRNSFG/FI - ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი

ფონდისა და იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის - I, II

- წარმატების ინდექსი: 100%
- მონაწილე პროექტები: 5
- გამარჯვებული პროექტები: 5
- მაქსიმალური ბიუჯეტი: მაგისტრანტი - ყოველთვიურ 900 ევროს + ორმხრივი მგზავრობის ხარჯი;
- დოქტორანტი - ყოველთვიურ 1400 ევროს + ორმხრივი მგზავრობის ხარჯი

დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით:


- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - € 39950
- აგრარული უნივერსიტეტი - € 6600
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - € 29550



DAAD-SRNSFG ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივი სტიპენდიები



განაცხადების რაოდენობა




- წარმატების ინდექსი: 72.9%
- მონაწილე პროექტები: 37
- გამარჯვებული პროექტები: 27
- მონაწილე ქალთა რაოდენობა: 25
- მონაწილე მამაკაცთა რაოდენობა: 12

ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2019 წლის საგრანტო კონკურსი



SRNSFG/Oxford

- წარმატების ინდექსი: 75%
- მონაწილე პროექტები: 4
- მონაწილე ქალთა რაოდენობა: 1
- მონაწილე მამაკაცთა რაოდენობა: 3
- გამარჯვებული პროექტები: 3
- მაქსიმალური ბიუჯეტი: 30000£




ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2022 წლის საგრანტო კონკურსი



SRNSFG/CNR

განაცხადების რაოდენობა



- წარმატების ინდექსი: 27.7%
- მონაწილე პროექტები: 18
- მონაწილე ქალთა რაოდენობა: 1
- მონაწილე მამაკაცთა რაოდენობა: 3
- გამარჯვებული პროექტები: 5
- მაქსიმალური ბიუჯეტი: 30000€

■ განაცხადების რაოდენობა


ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის კვლევითი სტაჟირების პროგრამის 2022 წლის საგრანტო კონკურსი

INSTITUT FRANÇAIS

GÉORGIE

SRNSFG/FI

განაცხადების რაოდენობა



■ განაცხადების რაოდენობა

• წარმატების ინდექსი: 27.7%

• მონაწილე პროექტები: 9

• მონაწილე ქალთა რაოდენობა: 8

• მონაწილე მამაკაცთა რაოდენობა: 1

• გამარჯვებული პროექტები: 2

• მაქსიმალური ბიუჯეტი: 14400€

ფონდის ღონისძიებები

- 65 ღონისძიება - 2022 წლის განმავლობაში
- აქედან 41 ღონისძიება - საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში;
- გაიმართა შეხვედრები მეცნიერებთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ფონდის მიერ ადმინისტრირებული კონკურსების ძირითადი პირობების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ



„დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ“

➤ 17 იანვარს გაიმართა მონოგრაფიის „დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ“ წარდგენა. პროექტი „დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ (წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა)“ განხორციელდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. მონოგრაფიაში შესულია ასეულობით ისტორიული საბუთი, რვა ეპიგრაფიკული წარწერა და ორი კოლოფონი, გამოვლინდა არაერთი უცნობი ფაქტი, ახალი ისტორიული წყაროები.



ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის პრეზენტაცია ტექნიკურ უნივერსიტეტში

➤ 9 თებერვალს გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მიერ შესრულებული და რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „მაღალ-მთიანი რურალური რეგიონებისათვის არალეგალური ნაგავსაყრელების წარმოქმნის ალბათობის დადგენის ინტეგრირებული მეთოდოლოგიის შემუშავება საქართველოს მაგალითზე“ დასკვნითი შედეგების პრეზენტაცია. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა წარადგინა 3 წლის განმავლობაში (2019-2022 წწ) ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგები. პრეზენტაციის დასასრულს გაიმართა დისკუსია.



შეხვედრა კატარის ეროვნული კვლევების ფონდსა და რუსთაველის სამეცნიერო ფონდს შორის

- 21 თებერვალს, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, ჯაბა სამუშიამ და გენერალური დირექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილმა შეხვედრა გამართეს კატარის ეროვნული კვლევების ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან, აბდულ სატარ ალ ტაისთან და ფონდის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო მექანიზმების ჩამოყალიბებისა და განხორციელების, თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხებზე.



კავკასიოლოგიის მიმართულების პროექტების პრეზენტაცია პარლამენტში

- 21 თებერვალს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში წარსდგა მოხსენებით ფონდის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის მიზნებისა და ამოცანების, ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების გაძლიერების და მხარდაჭერის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ. სხდომის მონაწილე პარლამენტის წევრებმა, მეცნიერებმა გამოთქვეს მოსაზრებები კავკასიის ხალხებთან კავშირების შენარჩუნებისა და ზოგადი კავკასიური პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე.



„Horizon Europe“-ში მონაწილეობისთვის საპროექტო განაცხადების მომზადების ტრენინგი

➤ 15 მარტს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამაში „Horizon Europe“ მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადების მომზადების ტრენინგი. ტრენინგის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რუსთაველის ფონდის გენერალურმა დირექტორმა ჯაბა სამუშიამ. ტრენინგს უძღვებოდა ევროკავშირის მხრიდან მოწვეული ექსპერტი მატეას ვიურტი.



შეხვედრა პროექტ TWINNING - ის წარმომადგენლებთან

23 მარტს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ჯაბა სამუშიამ, ფონდის წარმომადგენლებთან ერთად, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გამართა შეხვედრა პროექტის ლიდერთან ვოლფგანგ პოლტთან და პირველი კომპონენტის ლიდერთან, კრისტიან ჰარტმანთან. მხარეებმა განიხილეს პროექტის მიმდინარეობის საკითხები და შესაძლო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. ასევე გამოთქვეს გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების სურვილი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით.



შეხვედრა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებთან

- 11 აპრილს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა, შეხვედრა გამართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილესთან, აარონ რუპერტთან. მხარეებმა განიხილეს შესაძლო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, გამოთქვეს გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების სურვილი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით.

შეხვედრა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

- 12 აპრილს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა გამართა შეხვედრა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. მან სტუმრებს გააცნო ინფორმაცია ფონდის საქმიანობისა და საერთაშორისო აქტივობების შესახებ. მხარეებმა განიხილეს შესაძლო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და პრაქტიკის გაზიარების სურვილი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით.



ქართული ენის დღე თსუ-ში

- 14-15 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები გაიმართა, რომელშიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ჯაბა სამუშია მონაწილეობდა. რუსთაველის ფონდის გენერალურმა დირექტორმა ისაუბრა 1978 წლის 14 აპრილის, ქართული ენის დაცვის და პოპულარიზაციის, ამ მიმართულების სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის დიდ მნიშვნელობაზე, სახელმწიფო ენების (ქართული და აფხაზური) დაცვის მიზნობრივ სახელმწიფო საგრანტო კონკურსზე, რომელიც უახლოეს მომავალში გამოცხადდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით წარმართება.

„ჰორიზონტი ევროპის“ ეროვნული ოფისის ორგანიზებით ინტერაქტიული ტრენინგი ჩატარდა

- 19-20 აპრილს მეცნიერების მენეჯმენტის სკოლის და „ჰორიზონტი ევროპის“ ეროვნული ოფისის ორგანიზებით, ჩატარდა ინტერაქტიული ტრენინგი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების საგრანტო ოფისების კოორდინატორებისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა. ტრენინგი აქტიური დისკურსის რეჟიმში მიმდინარეობდა. განხილულ იქნა „ჰორიზონტი ევროპის“ ჩარჩო პროგრამაში არსებული დაფინანსებების სქემები, შეხვედრაზე დაიგეგმა მომავალი აქტივობები.



საინფორმაციო შეხვედრა გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით

- 20 აპრილს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით გაიმართა დისტანციური სამუშაო შეხვედრა ფოკუსჯგუფებთან გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შესახებ, რომლის გამოცხადება იგეგმება მიმდინარე წელს. ფონდის გენერალურმა დირექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო კონკურსის განახლებული დებულების სამუშაო ვერსია - საკონკურსო პირობები, ძირითადი მოთხოვნები, პროექტების შეფასების ახალი სქემა, და აღნიშნა, რომ ყველა განსახორციელებელი ცვლილება მორგებულია მეცნიერებასა და ბიზნესს შორის კავშირების დამყარებასა და მათ გაძლიერებაზე, ტექნოლოგიური ტრანსფერის პოტენციალისა და კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე კვლევების გამოვლენაზე.



„ჰორიზონტი ევროპის“ საინფორმაციო შეხვედრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში

- 27 აპრილს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ჰორიზონტი ევროპის“ საგრანტო ოფისის ადგილობრივი კოორდინატორის, ლევან კვარაცხელიას ორგანიზებით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის გაიმართა „ჰორიზონტი ევროპის“ საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ჯაბა სამუშია; მან ისაუბრა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“ მიზნებზე, მასში უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე, ფონდის ახალ საგრანტო კონკურსებზე.



მათემატიკის 63-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის შესარჩევი ტურები

- 30 აპრილსა და 1 მაისს რუსთაველის ფონდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით გაიმართა 2022 წლის მათემატიკის 63-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის შესარჩევი პირველი და მეორე ტურები, რომლებშიც 30 -მდე მოსწავლე მონაწილეობდა. საერთაშორისო ოლიმპიადა 6-16 ივლისს ნორვეგიაში ჩატარდება.



რუსთაველის ფონდი ISTC-ის და STCU -ს მმართველი საბჭოების სხდომაში მონაწილეობდა

- 3 მაისს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ჯაბა სამუშიამ, ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსმა, რუსუდან ჯობავამ მონაწილეობა მიიღეს ბრიუსელში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრის (ISTC) და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) მმართველი საბჭოების სხდომაში. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ორგანიზაციების მიმდინარე და სამომავლო აქტივობები, ინიციატივები, 2023 წლის სამოქმედო სტრატეგია და ბიუჯეტი, პროექტების დაფინანსების, ორგანიზაციის გაფართოებისა და ახალი წევრების მიღების საკითხები.



საერთაშორისო კონგრესი იმუნოლოგიისა და კორონავირუსის საკითხებზე

- 5 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ალერგოლოგიის, ასთმის და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის მხარდაჭერით, საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციამ რამდენიმე ღონისძიება გამართა: ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის საქართველოს XI ეროვნული კონგრესი; ასთმისა და ფქოდის VII ევროპული კონგრესი და I საერთაშორისო კონგრესი “კორონავირუსული ინფექცია (COVID-19): პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და რეაბილიტაცია”. მსგავსი მასშტაბის ღონისძიება საქართველოში პირველად ჩატარდა და მოიცვა როგორც პლენარული სესიები, ასევე ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმები, სემინარები, ონლაინ და ვიდეო ლექციები. კონგრესის პროგრამა მოიცავდა ასევე სესიებს ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციასთან, ევროპის ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიასთან.



ქიმიის 54 -ე საერთაშორისო ოლიმპიადის შესარჩევი ტურები გაიმართა

- 14 და 15 მაისს, რუსთაველის ფონდის საკონფერენციო დარბაზში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით გაიმართა 2022 წლის ქიმიის 54-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის (ICHO 2022) საქართველოს ნაკრები გუნდის შესარჩევი პირველი და მეორე ტური, რომლებშიც 20-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.



რუსთაველის ფონდის წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი გერმანიასა და ავსტრიაში

- 6-20 მაისს მიმდინარეობდა სამუშაო ვიზიტი ევროკავშირის Twinning პროექტის „ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობის მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“ ფარგლებში გამოცდილების გაზიარების, ინფორმაციის, სტრატეგიული ხედვისა და მოსაზრებების გაცვლის, ევროკავშირის ინსტრუმენტებსა და აქტივობებში მეტი ჩართულობის მიზნით; პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების მონაწილეები განიხილავდნენ პროექტის კომპონენტების განხორციელების მიმდინარეობას. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან ღონისძიებებში მონაწილეობენ ფონდის გენერალური დირექტორი, პროექტის ლიდერი ბენეფიციარი ორგანიზაციიდან ჯაბა სამუშია, პროექტის 4 კომპონენტის ლიდერები, ფონდის სხვა წარმომადგენლები.



რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორი ავსტრიის სამეცნიერო ფონდის ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

- 23 მაისს, ევროკავშირის Twinning პროექტის ფარგლებში, ავსტრიასა და გერმანიაში გამართულ სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ჯაბა სამუშია ავსტრიის სამეცნიერო ფონდის ვიცე-პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა. ავსტრიის სამეცნიერო ფონდში გამართულ მნიშვნელოვან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ფონდის საქმიანობასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას, მის საერთაშორისო აქტივობებსა და პროგრამებს. გაიმართა „მრგვალი მაგიდა“ მეცნიერების პოლიტიკის საკითხებზე ფონდის ვიცე-პრეზიდენტის, გერლინდ მაუთნერისა და აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის, ურსულა იაკუბეკის მონაწილეობით, რომელზეც განიხილეს მეცნიერების პოლიტიკის ისეთი თანამედროვე გამოწვევები, როგორცაა ღია მეცნიერებისა და ღია მონაცემების სისტემის დანერგვა, მეცნიერების და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობა. ასევე გაიმართა შეხვედრა ავსტრიის კვლევების მხარდაჭერის სააგენტოში, რომელზეც ფონდის გენერალური დირექტორი, ფონდის წარმომადგენლები გაეცნენ სააგენტოს საქმიანობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, მის სტრუქტურასა და პრიორიტეტებს.

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

➤ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რუსთაველის გამზირზე წარმოადგინა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა: თბილისელებისა და დედაქალაქის სტუმრებისთვის მოეწყო საინფორმაციო და საგამოფენო სივრცეები, საბავშვო ზონა: ციფრული კუბი წყალქვეშა სამყარო, იურული პარკი, გალაქტიკები, ვეფხისტყაოსნის პროექცია; არქეოლოგიური გათხრების იმიტაცია; სახალისო ბიოლოგია; ვახუშტი ბატონიშვილის ევროპის რუკის მიხედვით შექმნილი დიდი ზომის ფაზლი; წიგნის ბეჭდვის ძველი ტექნოლოგიის ვორქშოფი; რუსთაველის ფონდის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებული ახალგაზრდების პროექტები; ათასწლეულის გამოწვევის ფონდის 2022 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებული პროექტები; სახალისო ექსპერიმენტები.



საქართველო-ოქსფორდის ყოველწლიური ფორუმის ინაუგურაცია

➤ 10 ივნისს დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში გაიმართა საქართველო-ოქსფორდის ყოველწლიური ფორუმის საინაუგურაციო ღონისძიება „საქართველო ევროპასა და მთელ მსოფლიოში“, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს საელჩოს მიერ დიდი ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ოქსფორდის უნივერსიტეტის გლობალური და ტერიტორიული კვლევების სკოლასთან (OSGA) და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით. ყოველწლიური ფორუმის მიზანია ოქსფორდის უნივერსიტეტის ეკოსისტემაში ღირებული თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა, სხვადასხვა დისციპლინებში ჩართულობის უზრუნველყოფისა და იდეების ფართო გაცვლის გზით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიდ ბრიტანეთში, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ფორუმი იქნება დინამიური პლატფორმა საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის პარტნიორობის, ურთიერთთანამშრომლობის გასაძლიერებლად მიმართული ახალი ინიციატივებისთვის.

სემინარი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დაფინანსების ახალი ინსტრუმენტები“

- 22 ივნისს მეცნიერებასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტისა და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით ჩატარდა ვირტუალური სემინარი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დაფინანსების ახალი ინსტრუმენტები“. სემინარს ესწრებოდნენ სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, ასოციაციებისა და კომპანიების წარმომადგენლები სხვადასხვა დარგიდან. სემინარი ეხებოდა გამოყენებითი კვლევის საგრანტო კონკურსის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ტექნოლოგიების ტრანსფერისა და კომერციალიზაციის საკითხებზე. სემინარი მიზნად ისახავდა მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების, ასევე საწარმოო სექტორში შესაბამისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ბიზნეს სექტორისთვის ინფორმაციის მიწოდებას თანამშრომლობისთვის საჭირო ინიციატივების, ასევე გამოწვევების შესახებ.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის (ISTC) მმართველი საბჭოს შეხვედრა

- 13 ივლისს, ყაზახეთის ქალაქ ალმათიში გაიმართა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის (ISTC) მმართველი საბჭოს 74-ე შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც განიხილეს სტრატეგიული მნიშვნელობის პრიორიტეტები და შეიმუშავეს საგზაო რუკა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის სამომავლო მიმართულებებისა და საქმიანობის წარმართვისთვის. მმართველი საბჭოს შეხვედრაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსმა, რუსუდან ჯობავამ, რომელმაც წარადგინა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრიორიტეტები და აქცენტი გააკეთა ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და მეცნიერების კომერციალიზაციაზე.



საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატება ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე

- 18 ივლისს, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა წარმატებით იასპარეზეს ფიზიკის (IPhO 2022) 52-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც წელს დისტანციურად გაიმართა შვეიცარიაში. ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდი 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. ფიზიკა-მათემატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევა და მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით ხორციელდება. საქართველოს ეროვნული ნაკრები ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურში გადასული მოსწავლეებით დაკომპლექტდა.



შეხვედრა ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სამეცნიერო გრანტების 2022 წლის კონკურსთან დაკავშირებით

- 10 აგვისტოს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2022 წლის კონკურსით დაინტერესებულ პირებთან, მეცნიერებთან. საკონსულტაციო შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენლებმა მათ გააცნეს ინფორმაცია კონკურსის, მისი მიზნებისა და ძირითადი მოთხოვნების შესახებ. აღინიშნა, რომ კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება 3 ტიპის გამოყენებითი კვლევები: კონცეფციის დამტკიცება - მეთოდოლოგიური ან ტექნოლოგიური იდეის გამოყენებითობის დადგენა ლაბორატორიულ ან სიმულაციურ გარემოში გამოცდის გზით; პილოტირება - მეთოდოლოგიური ან ტექნოლოგიური იდეის გამოყენებითობის ვალიდაცია რეალურ/ინდუსტრიულ გარემოში გამოცდის/ტესტირების გზით; დანერგვითი კვლევა - მეთოდოლოგიური ან ტექნოლოგიური იდეის გამოყენებითობის დემონსტრირება საწარმოო/ინდუსტრიულ გარემოში, საწარმოო ხაზის სერვისის აპრობაცია ბაზარზე გასასვლელად. დაინტერესებულ პირებს ასევე გააცნეს ინფორმაცია კონკურსის სარეგისტრაციო პირობებისა და პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესახებ. შეხვედრის განმავლობაში ფონდის წარმომადგენლებმა უპასუხეს დასმულ შეკითხვებს.

შეხვედრა ახალგაზრდა მეცნიერებსა და STARMUS -ის საორგანიზაციო ჯგუფს შორის

➤ 12 აგვისტოს რუსთაველის ფონდში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენელ ახალგაზრდა მეცნიერებსა და "STARMUS"-ის საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ნუნუ მიცკევიჩი და რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, ერეკლე ასტახიშვილი უძღვებოდნენ. სტუმრებმა დამსწრე საზოგადოებას "STARMUS"-ის ფესტივალის პროგრამისა და მიზნების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრის დასასრულს ახალგაზრდა მეცნიერებმა სტუმრებს შეკითხვებიც დაუსვეს და მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს.



საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატება ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე

➤ 15 აგვისტოს, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა წარმატებით იასპარეხეს ინფორმატიკის (IOI 2022) 34-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც წელს ინდონეზიაში გაიმართა. ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდი 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადები გამოირჩევიან მასშტაბურობითა და ხანგრძლივი გამოცდილებით. მათი მიზანია აღნიშნულ დისციპლინებში მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლება-დახვეწა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. საქართველოს ეროვნული ნაკრები წელს ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურში გადასული მოსწავლეებით დაკომპლექტდა.



Twinning პროექტის მმართველი კომიტეტის სხდომა

- 9 სექტემბერს, Twinning პროექტის - “ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობის მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის” მმართველი კომიტეტის მე-10 შეხვედრა გაიმართა. პროექტის ჯგუფმა წარადგინა აქამდე მიღებული შედეგები. დისკუსიები ძირითადად ეხებოდა პროექტის სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვას საქართველოში მეცნიერებისა და ბიზნეს თანამშრომლობის განვითარებისთვის. პროექტის მმართველი კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ Twinning-ის პროექტის წარმატებით დასრულებისათვის საჭირო შემდგომ ნაბიჯებზე.

Component 3: October – November 2022
Workshop, 21-23 Oct: Training on strategic approach and duties of NCPs and grant offices Target group: NCPs, Grant Offices at Universities, HEU office, SRNSFG, MES Experts: DLR, FFG, DAAD
<ul style="list-style-type: none">- Practical advice on NCP functions and activities for promoting European Framework programmes- Planning of services and strategic approach for supporting Georgian stakeholders- Self-evaluation survey for skills and competencies of NCPs and Grant Office coordinators
Workshop, 11-13 Oct: Advancing Open Science in Georgia Target group: SRNSFG, MES Experts: FWF
<ul style="list-style-type: none">- Further developing Open Science from the perspective of the Georgian national science system- Identifying key policy aspects- Implementation planning
November: Finalizing component 3 indicators of achievement

ფონდის გენ.დირექტორი გერმანიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდა

- 14 სექტემბერს, ფონდის გენერალური დირექტორი ჯაბა სამუშია ფონდის წარმომადგენლებთან ერთად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლებისა და კვლევის სამინისტროს საქართველოსთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, გაბრიელე ჰერმანს, ამავე სამინისტროს წარმომადგენელ ოლივერ პიეპერს, გერმანიის კვლევების ფონდის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელ მეჩტილდ კოჰლერსა და გერმანიის აეროსივრცის ცენტრის წარმომადგენელს, ჯონ გრუნევალდს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეები შეეხნენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით ფონდსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამის ინსტიტუციებს შორის არსებულ თანამშრომლობას და სხვადასხვა პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებით სამომავლო პარტნიორობის მრავალმხრივი შესაძლებლობები განიხილეს. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა Horizon Europe-ის ფარგლებში საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობის პერსპექტივაზე.

➤ 29 სექტემბერს ევროკავშირის პროგრამების მხარდაჭერითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მეცნიერებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის ხელშეწყობა კვლევისა და ინოვაციის ერთობლივი პრიორიტეტებით“ გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, რომელიც სამეცნიერო პრიორიტეტების იდენტიფიცირების კუთხით დასკვნით ეტაპს წარმოადგენდა, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა სამეცნიერო პრიორიტეტების საუკეთესოდ განხორციელების გზების შესახებ ერთმანეთისთვის მოსაზრებები გაეზიარებინათ.



რუსთაველის ფონდმა მე-9 სამეცნიერო პიკნიკში მიიღო მონაწილეობა

➤ 1-ელ ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მე-9 სამეცნიერო პიკნიკი გაიმართა. ღონისძიების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მის მონაწილეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი მიესალმა. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი პიკნიკზე მრავალფეროვანი აქტივობებით იყო წარმოდგენილი. ფონდის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულმა მოსწავლეებმა მათ მიერ შექმნილი ინოვაციური პროექტები წარმოადგინეს. შედგა საგრანტო კონკურსების შედეგად გამოცემული წიგნების გამოფენა, გაიმართა სამეცნიერო თემატიკის ინტერაქტიული შეხვედრებით - გასართობი ვიქტორინა ზეიმის სხვადასხვა ასაკის მონაწილეებისთვის.



რუსთაველის ფონდის გენერალურმა დირექტორმა იაპონიის ელჩთან თანამშრომლობის საკითხები განიხილა

- 7 ოქტომბერს რუსთაველის ფონდის გენერალურ დირექტორს, ჯაბა სამუშიას იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, იმამურა აკირამ თავის რეზიდენციაში უმასპინძლა, სადაც მხარეებმა სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. შეხვედრაზე ჯაბა სამუშიამ იაპონიის ელჩს საქართველოში ფონდის მიერ განხორციელებული მეცნიერების მხარდამჭერი პროგრამები გააცნო და სამეცნიერო სფეროს განვითარების ხელშეწყობის კუთხით იაპონიის მხარესთან კავშირების გაძლიერების მნიშვნელობაზე ისაუბრა. იაპონიის ელჩმა ქართული სამეცნიერო სივრცის ხელშეწყობის მზაობა გამოთქვა. როგორც მან აღნიშნა, იაპონიის სამეცნიერო ინსტიტუტებთან პარტნიორობა ქართველ მეცნიერებს მასშტაბურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სრულფასოვნად ჩართვის საშუალებას მისცემს, რაც მათ სრულიად ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის. შეხვედრის ბოლოს მხარეებმა კონკრეტული საკითხების განსახილველად სამომავლო შეხვედრები დაგეგმეს.

შეხვედრა DAAD-ის პრეზიდენტთან

- 18 ოქტომბერს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, DAAD - ის პრეზიდენტს, პროფესორ ჯოიბრატო მუხერჯის და ამავე ორგანიზაციის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელს, გებჰარდ როილს შეხვდნენ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და DAAD -ის ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ სასტიპენდიო პროგრამას, სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურების გზებსა და პრიორიტეტებს, მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების სხვადასხვა სქემების შემუშავებასა და განხორციელებაზე.



კონკურს „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულების დაჯილდოება

- 17 ნოემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა, რომლის ფარგლებში მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა და გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაზე კონკურსის დასკვნით ეტაპზე გადასული პროექტების ავტორები კომისიის წინაშე პრეზენტაციებით წარდგნენ და გრანპრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელები გამოვლინდნენ. ფინალისტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა მიღწეული წარმატება მიულოცა, სამომავლო საქმიანობაში წინსვლა უსურვა და გამარჯვებულ მოსწავლეებს საჩუქრები გადასცა.



„ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულები შემეცნებითი ტურის ფარგლებში CERN-ში იმყოფებიან

- 2 დეკემბერს, კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულები შემეცნებითი ტურის ფარგლებში CERN-ში იმყოფებოდნენ. გამარჯვებული მოსწავლეები ადგილზე გაეცნენ ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში მეცნიერთა საქმიანობას და მიიღეს ინფორმაცია მიმდინარე მნიშვნელოვანი ექსპერიმენტების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა გამომგონებლებმა CERN-ში წარადგინეს პრეზენტაციები თავიანთი გამოგონებებისა და ინოვაციური პროექტების შესახებ, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.





შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

გმადლობთ ყურადღებისთვის!

www.rustaveli.org.ge